საჯარო სამართლის იურიდიული პირი
კოლეჯი „მოდუსი"

სსიპ კოლეჯი
მოდუსი

ბრძანება №13

რუსთავი

„17"-01-2022 წ.

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე "ქართულენოვანი ტურისტული მეგზური"-ზე აპლიკანტების ჩარიცხვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის და წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი მოდუსის წესდების მე-5 მუხლის „თ" პუნქტის, სსიპ კოლეჯი მოდუსში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესის მე-4 და მე-6 მუხლების შესაბამისად, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის 2022 წლის 13 იანვრის N17703 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1.მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე "ქართულენოვანი ტურისტული მეგზური"-ზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით დოკუმენტების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 17 იანვრიდან 21 იანვრის 15:00 საათის ჩათვლით:

2.განისაზღვროს აპლიკანტთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი #1 შესაბამისად;

3.დოკუმენტების წარმოდგენა უნდა მოხდეს სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო კორპუსში, მდებარე ქ. მარნეული, ყოფილი პნევმოტრანსის ტერიტორია;

4.მიეცეთ უფლება დოკუმენტები წარმოადგინონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით სსიპ კოლეჯი მოდუსის ელექტრონულ საფოსტო მისამართზე: info@modusi.ge იმ აპლიკანტებს რომლებიც ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პირობებში ვერ ახერხებს ადგილზე გამოცხადებას შემდეგი მიზეზის გამო, იმყოფება:

ა) საკარანტინო სივრცეში/თვითიზოლაციაში;

ბ) საკარანტინო ზონაში;

გ) სამკურნალო დაწესებულებაში/იზოლაციაში ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის დადასტურების გამო.

5.მე-4 პუნქტით გათვალისწინებულმა აპლიკანტებმა სხვა დოუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინონ მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი;

6.დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან მათი არასრული წარმოდგენა წარმოადგენს ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს;

7.წარმოსადგენი დოკუმენტების მიღება დაევალოს მოდუსი მარნეულის მენეჯერს ქეთევან გურგენიშვილი;

8.ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

9.დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს უზრუნველყოს წინამდებარე წესის გადაგზავნა კოლეჯის IT სპეციალისტისთვის, იურისტისთვის, მარნეული მოდუსის მენეჯერისთვის;

10.IT სპეციალისტს დაევალოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ელექტრონულ ვებ გვერდზე;

11.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. #6).

ნინო ქავთარაძე

დირექტორი

LEPL COLLEGE MODUS 216350829

დანართი N1

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელის) განცხადება;

ბ) აპლიკანტის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის/წარმომადგენლის სათანადო უფლებამოსილებას (დაბადების მოწმობა ან მშობლის მიერ გაცემული მინდობილობა ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა);

დ) პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესაბამისად - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) პირმა, რომელმაც განათლება მიიღო უცხოეთში, რის საფუძველზეც ხდება ჩარიცხვა პროგრამაზე - უნდა წარმოადგინოს განათლების აღიარების დოკუმენტი;

ვ) პირმა, რომელმაც განათლება მიიღო ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რის საფუძველზეც ხდება ჩარიცხვა პროგრამაზე - უნდა წარმოადგინოს განათლების აღიარების დოკუმენტი;

ზ) იმ ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რა ენაზეც ხორციელდება პროგრამა. დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ატესტატი, თუ პირმა სასკოლო განათლება მიიღო პროგრამის განხორციელების ენაზე. არაქართულენოვანი პირის მიერ ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში - ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის გავლის დოკუმენტი ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენის გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი. ასეთი დოკუმენტის არარსებობისას პირს უტარდება გამოცდა კოლეჯის მიერ. პირის მიერ ქართული ენის ფლობის დონის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, პირი ვერ ჩაირიცხება პროგრამაზე.